ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 10-43

“19” მაისი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 04/01/2016, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.35.101.016242) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააგენტოს მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ერთჯერადი ტრანსპორტირების საფასური შეადგენს:

ა) ძაღლის, კატის შემთხვევაში - 1 ლარს - 1 კილომეტრის მანძილზე, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური - 2 ლარი;

ბ) წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში - 2 ლარს - 1 კილომეტრის მანძილზე, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური - 2 ლარი;

გ) მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში - 3 ლარს - 1 კილომეტრის მანძილზე, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური - 4 ლარი.“

2. დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის „6³“ მუხლი:

„მუხლი 6³. ვეტერინარული მომსახურება

1. ვეტერინარული მომსახურება ამ წესის მიზნებისთვის გულისხმობს სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, სპეციალური ავტოტრანსპორტით (პირის მიერ მითითებულ მისამართზე (შემდგომში - მისამართი)) ან მის გარეშე (სააგენტოს ცხოველთა თავშესაფარში (შემდგომში - თავშესაფარი)), პირის განცხადებისა და ამ წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც მოიცავს ცხოველების:

ა) სტერილიზაციის ოპერაციას (თავშესაფარში);

ბ) კასტრაციის ოპერაციას (თავშესაფარში);

გ) ანტირაბიულ ვაქცინაციას (თავშესაფარში ან მისამართზე);

დ) კომპლექსურ ვაქცინაციას (თავშესაფარში ან მისამართზე).

2. სააგენტოს მიერ ვეტერინარული მომსახურების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) სტერილიზაციის ოპერაცია - 80 ლარი;

ბ) კასტრაციის ოპერაცია - 60 ლარი;

გ) ანტირაბიული ვაქცინაცია:

გ.ა) თავშესაფარში - 10 ლარი;

გ.ბ) მისამართზე - 23 ლარი;

დ) კომპლექსური ვაქცინაცია:

დ.ა) თავშესაფარში - 20 ლარი;

დ.ბ) მისამართზე - 33 ლარი.".

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ცხოველების ამ მუხლით გათვალისწინებული ანტირაბიული ვაქცინაცია თავშესაფარში, სააგენტოს მიერ ხორციელდება უსასყიდლოდ, წინასწარი განაცხადის საფუძველზე.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი) მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გასაწევი სხვადასხვა მომსახურების ახალი სახეების დაწესების, სააგენტოს, როგორც ამავე წესით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას პრაქტიკულად გამოვლენილი პრობლემური საკითხების მოწესრიგების და ნორმატიულ აქტში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

აღნიშნული ნორმატიული აქტით და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის № 20-93 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგების, ასევე სააგენტოში შემოსული შეტყობინებების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ დადგენილი მომსახურების სახეობებთან ერთად, ცხოველთა პატრონებს დამატებით სურთ მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანილი უმეთვალყურეოდ მყოფი პირუტყვის ტრანსპორტირების მომსახურების მიღება, თავშესაფრიდან დანიშნულების ადგილამდე. მიუხედავად იმისა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის" არსებული რეგულაციების ფარგლებში შესაძლებელია საკუთრებაში არსებული პირუტყვის ტრანსპორტირების მომსახურების შეთავაზება-გაწევა დაინტერესებული პირებისათვის, ცხოველების ტრანსპორტირების არსებული ტარიფი (1 ლარი ერთი კილომეტრის მანძილზე) ვერ უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ პირუტყვის ტრანსპორტირებისთვის გაწეული ხარჯების დაფარვას, პირუტყვის გაბარიტებიდან და წონიდან გამომდინარე. ზემოხსენებული „1-ლარიანი" ტარიფი განსაზღვრული იყო მხოლოდ ძაღლების და კატების ტრანსპორტირების მიზნებისთვის,

მსუბუქი ავტოტრანსპორტის მეშვეობით, ხოლო პირუტყვის, განსაკუთრებით კი მსხვილფეხა პირუტყვის ტრანსპორტირებისთვის აუცილებელია მაღალი ტვირთამწეობის და გაზრდილი გაბარიტების მქონე ავტოტრანსპორტით მომსახურება, რაც ავტომატურად ზრდის ტრანსპორტირების ხარჯებსაც.

გარდა ამისა, სააგენტოს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის - ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის საქმიანობის შედეგების, ასევე სააგენტოში შემოსული შეტყობინებების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ დადგენილი მომსახურების სახეობებთან ერთად, სააგენტოს ვეტერინარული პერსონალის მზარდი კვალიფიკაციის და ვეტერინარული მანიპულაციების ჩატარების რესურსების ზრდის ფონზე, შესაძლებელი გახდა დაინტერესებული პირებისათვის ვეტერინარული მომსახურების ისეთი სახეობების შეთავაზება, როგორც ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციები, ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 79-ე მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მთავრობის წინადადებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დაუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებით (დებულებით) განსაზღვრული საქმიანობის, მომსახურების ან/და დაჩქარებული მომსახურების, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემის მომსახურების, საფასურის ოდენობა.

რაც შეეხება ცალკეული ვეტერინარული მომსახურების ტარიფებს, მათი ოდენობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებული იქნა შემდეგი გარემოებები:

1. შესწავლილია საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების შესაბამისი ნორმატიული აქტები. შედეგად, მონაცემები ვერ იქნა მიღებული, ვინაიდან სხვა მუნიციპალიტეტების მიერ მსგავსი სახის მომსახურება მიმდინარე ეტაპზე არ არის დადგენილი;
2. შესწავლილია თბილისის შესაბამისი „მომსახურების ბაზარი“. კერძოდ შეირჩა ქ.თბილისში მოქმედი 10 ვეტერინარული კლინიკა (კლინიკა „ბალტო“, კლინიკა „ვეტჰაუსი“, კლინიკა „აიბო“, აბაშიძის ქუჩის 59 ნომერში მოქმედი ვეტკლინიკა, წერეთლის გამზირის 74 ნომერში მოქმედი ვეტკლინიკა, კლინიკა „ბერიძე & კო“, კლინიკა „ბუნება“, კლინიკა „ზოოპლაზა“, კლინიკა „ზოომანია“ და კლინიკა „ვეტექსპრესი“) და დადგინდა მათში არსებული ტარიფები ვეტმომსახურების შესაბამის სახეებზე - სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციები, კომპლექსური და ანტირაბიული ვაქცინაცია.
3. დადგინდა ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ვეტერინარული მომსახურების თითოეული სახეობის თვითღირებულება, მომსახურების დეტალიზაციის და სრული პროცესის თითოეული კომპონენტის თვითღირებულების გაანგარისების მიმართულებით.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის

წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი (დამატებითი) ხარჯების გამოყოფას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

თბილისის შესაბამისი „მომსახურების ბაზრის" ფასთა კვლევის პროცესში მაქსიმალურად ობიექტური მონაცემების მიღების მიზნით, ჩატარდა ანონიმურად, „პოტენციური კლიენტების" სახელით. ზემოაღნიშნული 10 ვეტერინარული კლინიკებიდან ორში ოპერაციების ღირებულებები დამოკიდებულია ცხოველის წონაზე, დანარჩენებში ერთიანი ტარიფი მოქმედებს. რაც შეეხება ვაქცინაციას, 4 კლინიკაში ვაქცინაციის ღირებულება დამოკიდებულია გამოყენებული მედიკამენტის მოქმედების დიაპაზონზე (რამდენ დაავადებაზეა გათვლილი), დანარჩენებში ერთიანი ტარიფი მოქმედებს. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი პარამეტრები:

წილი (%) კლინიკების საერთო რაოდენობაში	ღირებულება (ლარი)				პროფილი
	სტერილიზაცია	კასტრაცია	კომპლექსური ვაქცინაცია	ანტირაბიული ვაქცინაცია	
10	250	180	33	26	ძაღლი-კატა
70	150	100	30	15	ძაღლი-კატა
10	70	70	-	-	კატა
10	80	50	19	12	ძაღლი-კატა

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველაზე დაბალი ტარიფებია:

- სტერილიზაცია - 80 ლარი;
- კასტრაცია - 50 ლარი;
- კომპლექსური ვაქცინაცია - 19 ლარი;
- ანტირაბიული ვაქცინაცია - 12 ლარი.

ყველაზე მაღალი ტარიფებია:

- სტერილიზაცია - 250 ლარი;
- კასტრაცია - 180 ლარი;
- კომპლექსური ვაქცინაცია - 33 ლარი;
- ანტირაბიული ვაქცინაცია - 26 ლარი.

ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ტარიფები ფიქსირდება თითო ვეტკლინიკაში. ძირითად მასაში კი (70 %) ტარიფები თითქმის ერთნაირია:

- სტერილიზაცია - 150 ლარი;
- კასრაცია - 100 ლარი;
- კომპლექსური ვაქცინაცია - 30 ლარი;
- ანტირაბიული ვაქცინაცია - 15 ლარი.

პროექტით გათვალისწინებული, ვეტერინარული მომსახურების კონკრეტული სახეობების თვითღირებულების დასადგენად გამოყენებულია ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის პრაქტიკის შემდეგი მონაცემები:

1) სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციის შემთხვევაში:

№	მედიკამენტის/სახარჯი მასალა	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)		
			პატარა წონისთვის	საშუალო წონისთვის	დიდი წონისთვის
1	დიაზეპექსი	0.5 - 1.5 მლ	2.69	5.38	8.08
2	კალიფსოლი	0.2 - 2.0 მლ	0.73	4.50	7.34
3	ქსილაზინი	0.5 - 5.0 მლ	0.60	0.90	1.80
4	ტილოზინი	1.0 მგ	0.05	0.05	0.05
5	ზიოკან - რ	1 ც	2.50	2.50	2.50
6	ლანცეტის პირი	1 ც	0.10	0.10	0.10
7	ვენის კათეტერი	1 ც	0.50	0.50	0.50
8	ლეიკოპლასტირი	1 რულონი - 40 რულონი	0.04	0.04	0.04
9	ბინტი	1 ბინტი - 4 ოპერაცია	0.70	0.70	0.70
10	ბამბა	1 ბამბა - 5 ოპერაცია	1.00	1.00	1.00
11	რინგერი	50.0 - 200 მლ	0.09	0.25	0.45
12	სისტემა	1 ც	0.42	0.42	0.42
13	ვაიკრილის ძაფი	2 ც	2.00	2.00	2.00
14	ნიღაბი	2 ც	0.18	0.18	0.18
15	სტერილური ხელთათმანი	1ც	0.51	0.51	0.51
16	არასტერილური ხელთათმანი	2ც	0.28	0.28	0.28
17	ფორტიკლინი	1ც - 15 ოპერაცია	1.00	1.00	1.00
18	შპრიცი - 2 გრ.	5ც	0.50	0.50	0.50
19	შპრიცი - 5 გრ.	1ც	0.10	0.10	0.10
20	ვიტამინი - C	1 ამპ	0.10	0.10	0.10
21	სპირტი	1 ფლაკონი - 7 ოპერაცია	0.17	0.17	0.17
22	სტერილური საფენი	1ც - 1 ოპერაცია	1.67	1.67	1.67
23	საჭდე	1ც	1.00	1.00	1.00
24	იოდი	1 ფლაკონი - 10ოპერაცია	0.04	0.04	0.04
25	ქუდი	1ც	0.09	0.09	0.09
26	ბახილები	1ც	0.08	0.08	0.08
ს უ ლ			17.14	24.06	30.70

2) ვაქცინაციის შემთხვევაში:

№	მედიკამენტის/სახარჯი მასალა	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	ეურიკანი (კომპლექსური აცრა)	1 ც	13.00
2	ბიოკან-რ (ანტირაბიული აცრა)	1 ც	2.50
3	შპრიცი - 2 გრ	1 ც	0.10

3) კონკრეტულ დროში დახარჯული ადამიანური რესურსის შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ სტერილიზაციის-კასტრაციის ოპერაციას ატარებს ორი თანამშრომელი - ექიმი-ვეტერინარი და ფერშალი, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში.

ექიმი-ვეტერინარის (მთავარი სპეციალისტი) ერთი თვის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1440 ლარს. შესაბამისად, ერთი ვეტექიმის დღიური ანაზღაურება (სამუშაო 5-დღიანი კვირის გათვალისწინებით) შეადგენს 55 ლარს (1440/26), ხოლო ერთი საათის ანაზღაურება (სამუშაო 8-საათიანი დღის გათვალისწინებით) შეადგენს 6,9 ლარს (55/8).

ფერშალის (სპეციალისტი) ერთი თვის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 940 ლარს. შესაბამისად, ერთი ფერშლის დღიური ანაზღაურება (სამუშაო 5-დღიანი კვირის გათვალისწინებით) შეადგენს 36 ლარს (940/26), ხოლო ერთი საათის ანაზღაურება (სამუშაო 8-საათიანი დღის გათვალისწინებით) შეადგენს 4,5 ლარს (36/8).

ორივე თანამშრომლის მიერ ერთ სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციაზე (დაახლოებით ერთი საათი) გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება შეადგენს დაახლოებით 11,4 ლარს (6,9+4,5).

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ანგარიშსწორების გამარტივების, შესაძლო გაუთვალისწინებელი დანახარჯების კომპენსირების და სააგენტოს საკუთარი შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფის მიზნით, „ცხოველების ვეტერინარული მომსახურების“ საფასური მიზანშეწონილია განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) სტერილიზაციის ოპერაცია - 80 ლარი;
ბ) კასტრაციის ოპერაცია - 60 ლარი;
გ) ანტირაბიული ვაქცინაცია:
  გ.ა) თავშესაფარში - 10 ლარი;
  გ.ბ) მისამართზე - 23 ლარი;
დ) კომპლექსური ვაქცინაცია:
  დ.ა) თავშესაფარში - 20 ლარი;
  დ.ბ) მისამართზე - 33 ლარი.“.

ზ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი (დამატებითი) ხარჯების გამოყოფას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.